PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თეა ლილუაშვილი**

წევრები:

მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021 წლის 27 დეკემბრის N422464 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუტ2“-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგნლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები. ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 იანვარს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმავითარებელი რეკომენდაცია: 2.2.1 (7) 1. პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები და ხარჯები გაიწეროს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

2. ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის (როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული) გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი გამოვლინდეს ცალ-ცალკე - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1(2)

განვითარების რეკომენაცია: ვინაიდან პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი „საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“.

2.2.1(7)

განვითარების რეკომენდაცია: პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განისაზღვროს პროფესიული სტუდენტი და არა „მსმენელი“, ვინაიდან პროგრამა არ წარმოადგენს მომზადება/გადამზადების პროგრამას.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში / Secondary Vocational Qualification in Topography
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N1284500 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ.ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის N28, 40 პროფესიული სტუდენტი, მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; დაწესებულების განმარტებით,პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა განპირობებულია შემდეგით: პროგრამის მოთხოვნადობას ადასტურებს ინტერნეტში განთავსებული არაერთი ვაკანსია თუ სამშენებლო შინაარსის ტენდერები, სადაც აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების სპეციალისტები ესაჭიროებათ (spa.ge; jobs.ge; hr.ge). თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში არსებობს დეფიციტი ისეთი მაღალკვალიფიციური კადრებისა, რომლებიც აღნიშნული სამუშაოების შესრულებას პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფენ. პარტნიორ კომპანიებთან ურთიერთობის, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციებისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხი, რომელიც დამატებით წაახალისებს დასაქმებას და ხელს შეუწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობებს. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „ჩარიცხვის წესის და პირობების“ შესაბამისად.

განვითარების რეკომენაცია: ვინაიდან პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი „საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“.

3. საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისზღვრება პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
გარემოდ განისაზღვრება A, B და C (კაბინეტი N8) გარემო - ფართი 46.6 მ 2 , პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა- 20;
კაბინეტი N8 -ის კვირეული საათობრივი დატვირთვა ჯგუფზე- მაქსიმუმ 30 საათი, მაქსიმუმი კვირეული დატვირთვა ორ ცვლაში კვირაში-60 საათი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, ორ ცვლაში- 40.
4. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
5.პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.
6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება / Survey-Topography“, სარეგისტრაციო ნომერი 07319-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2“ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- დირექტორის ბრძანება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მატერიალური რესურსის გათვალისწინებით“;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ჩარჩო დოკუმენტი „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1.დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ქალაქ ზესტაფონში, ნ.ნიკოლაძის N28-ში მდებარე სასწავლო ფართზე. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის MES 5 21 0001284958 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა,სადაც პროგრამისათვის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება'' აღჭურვილობის შეძენის პროცესის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 მაისი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული გარემო აღჭურვილი ჰქონდა A ტიპის გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, გეგმავენ A და B გარემოს შერწყმას, B გარემოსთვის კომპიუტერულ ტექნიკას შეიძენენ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება კონსოლიდირებული ტენდერის შედეგები. დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ტენდერი სხვა აღჭურვილობებზე, რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად.
შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2ს აღჭურვილობის შეძენის მიზნით გამოეყო დაფინანსება (CPV 44500000 ; და სხვა) 116,139 (ასთექვსმეტიათას ასოცდაცხრამეტი ლარი) ლარის ოდენობით.

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლება 2022 წლის 30 მაისამდე პერიოდში. გასაუბრებისას იმ მასწავლებლებმა, რომლებთაც არ აქვთ სწავლების გამოცდილება, ასევე აღნიშნეს, რომ აუციებლად ჩაერთვებიან კოლეჯის დაგეგმილ ტრენინგებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, სასწავლო საქმიანობასა და დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება N08-58 (15 ნოემბერი 2021 წ.), რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის გზით დამატებისთვის გაწეულ საქმიანობაში და სრულად აქვს გაცნობიერებული მისი ფუნქცია პროგრამის განხორციელების სტადიაზეც.

5. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლებად განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 14 მსმენელი.
განვითარების რეკომენდაცია: პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განისაზღვროს პროფესიული სტუდენტი და არა „მსმენელი“, ვინაიდან პროგრამა არ წარმოადგენს მომზადება/გადამზადების პროგრამას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის დანართი მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შესბამისობის გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”-სთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუ.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით მოწმდება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; სასწავლო გარემო; მატერიალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; შეფასების ინსტრუმენტები; კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
  ინტერვიუ;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.
2. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ის მოდულები/სწავლის შედეგება, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია დისტანციურ რეჟიმში. საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მოდულებს განახორციელებს დისტანციურ რეჟიმში.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" ითვალისწინებს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების თანამედროვე მეთოდების, ისე დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემოს მოწყობა. დაწესებულებას გააჩნია შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მათ აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული გამოცდილება რათა სრულყოფილად უზრუნველონ პროფესიული სტუდენტებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება", განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკის გადამოწმება განსახილველ პროგრამაზე ვერ მოხერხდა, ვინაიდან იგი ახალია, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები. ასევე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პანდემიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაშ ხშირად ხდება საჭირო პროგრამის დისტანციურ რეჟიმში გადატანის და ანალოგიურად მოიქცევიან თუ იგივე საჭიროება დადგება აღნიშნულ პროგრამაზე, პროგრამას ასევე თან ახლავს დანართი,სადაც განსაზღვრულია ის მოდულები/სწავლის შედეგები, რომლებიც შესაძლებელია, რომ განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში.
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია საველე პირობებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული შესაბამისად აღჭურვილი C გარემოს გამოყენებით. გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება ითანამშრომლებს დამფუძნებელთან, რაც დასტურდება შესაბამის ხელშეკრულებებით; დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ბკ ქონსთრაქშენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, კოლეჯის დაფუძნების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული სწავლის შედეგების რეალურ გარემოში მიღწევის უზრუნველყოფას.
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ა(ა)იპ კოლეჯში „კონსტრუქტ2“ განსახილველ პროგრამაზე სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხოდ, რომელსაც გააკონტროლებს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი კოლეჯში და საველე პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პირი. აღნიშნულ პროგრამას სპეციფიკური უსაფრთხოების მოთხოვნები არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამით და სასწავლო გეგმით;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ბიკეი კონსტრაშენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- შესაბამისობის გეგმით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების თანახმად განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს, ვერიფიკაციის პროცედურა გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას, რაც ნიშნავს სასწავლო პროცესში უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანების საფუძველზე და მოიცავს შიდა მხარდაჭერის ჯგუფსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურები და ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების როლები და პასუხისმგებლობები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც განხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4.კოლეჯის ხარისხის მართვის მექანიზმების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით: პროგრამის განვითარება; მოდულების რიგითობის განსაზღვრა; სწავლების მეთოდები; შეფასების ინსტრუმენტი; საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ხარისხის მართვის მექანიზმები;
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
ინტერვიუ;
ვერიფიკაციის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

02.02.22
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: